ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 12

ქ. ონი 14. 12. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გობეჯიშვილი.

სხდომას კომისიის 11 წევრიდან ესწრებოდა 6 წევრი: ნინო გობეჯიშვილი, გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, რევაზ საბანაძე, როსტომ ლობჯანიძე, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: ზურაბ ბენდიანიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბიძინა ყიფიანი, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

2. ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ანგარიში 2022 წელს კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ კომისიის სხდომები ტარდებოდა წინასწარ გაწერილი სამუშაო გეგმის მიხედვით. სხდომაზე ამომწურავად ხდებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა - გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის სამუშაო ჯგუფების წევრებს მადლობა

გადაუხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მომზადებასა და კომისიის მუშაობაში აქტიური ჩართულობისთვის.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გივი მეტრეველმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით კურორტ შოვის ტერიტორიისა და მისი შემადგენელი კომპონენტების მდგომარეობა საგანგაშოა, საჭიროა, დროულად იქნეს მიღებული სამართლებრივი ნორმატიული წინაპირობები კურორტის შემდგომი განვითარებისათვის. არსებული საკითხის დროულად გადაწყვეტის მიზნით, საჭიროა, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე საკითხი შეტანილი იქნეს დღის წესრიგში გადაწყვეტილების მისაღებად. როსტომ ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ კურორტი შოვი წლების მანძილზე სავალალო მდგომარეობაშია, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მიღებული იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუწყობს კურორტის შემდგომ განვითარებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ნინო გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 14 დეკემბერს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

2. ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

1.საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურისა კომისიამ კომისიის სამუშაო ჯგუფების მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად.

2. საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას პროექტთან-ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ, შენიშვნები არ აქვს და საკრებულოს აძლევს რეკომენდაციას, საკითხი შეტანილი იქნეს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

ნინო გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი